ხელშეკრულება N 399

სადადგმო და შემოქმედებითი საქმიანობისათვის საჭირო საქონლის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი 26 დეკემბერი 2016 წელი

ერთი მხრივ, სსიპ-თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორ-განმკარგულებელი გიორგი თეგზაძის სახით და მეორე მხრივ, შპს „ლეკერი“ დის. ივანე ნიგზარაძე (შემდგომში "მიმწოდებელი"; „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ორივე ერთად მოხსენებული როგორც „მხარეები“), ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3-ე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და, „სახელმწიფო თეატრების მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის N99 განკარგულებისა შესაბამისად მხარეთა ორმხრივი ინტერესებისა და ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდველისათვის ნაწ. 22ლი 4 ცალი

1.2. სახელოწერო ნიგბარ ნაწ ნედა 3 ცალი, სახელოწერო ჯუჯა 10 ცალი, მიწოდებას (შემდგომში „საქონელი“)

CPVკოდი: 39298900;

2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების პირობები

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების სრული ღირებულება შეადგენს 263,00 (ორასსამოცდასამი) ლარს;

2.2. წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადს/გადასახდელს რომლის გადახდის ვალდებულებაც ეკისრება მიმწოდებელს;

2.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში;

3. მომსახურების მიწოდების ადგილი, მიწოდების პირობები და ვადები

3.1. საქონლის მიწოდების ადგილია მის: შოთა რუსთაველის გამზირი №17;

3.2. მიმოწოდებელი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული საქონელი მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის განმავლობაში;

3.3. მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს შესაბამის სფეროში არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს;

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი, საკუთარი თანამშრომელს/თანამშრომელთა ჯგუფს ან/და ნებისმიერ მესამე პირს მეშვეობით (შემდგომში „მონიტორინგის ჯგუფი“);

4.2. მონიტორინგის ჯგუფის ფუნქციაა მისაწოდებელი ან / და მიწოდებული საქონლის, მომსახურების, სამუშაოს მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

4.3. მონიტორინგის შედეგად, შემსყიდველის მიერ შესყიდვის ობიექტის მიღება ხდება მხოლოდ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე;

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ხელშეკრულების პირობების შესრულების

კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი;

4.5. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად ყველა გამოვლენილი ნაკლოვანების აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

5.მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1 მიმწოდებელს უფლება აქვს, წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მოითხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების დროული გადახდა;

5.2 შემსყიდველს უფლება აქვს, მოითხოვოს ხარისხიანი საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.3 შემსყიდველს უფლება აქვს აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია, დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები

5.5 მიმწოდებელი ვალდებულია, დროულად განიხილოს შემსყიდველის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

5.6 შემსყიდველი ვალდებულია, უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის თანხის გადახდა ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად

5.7 შემსყიდველი ვალდებულია, დროულად განიხილოს მიმწოდებლის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

6 ფორს მაჟორი

6.1 არც ერთ მხარეს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი დარღვევისათვის, თუ აღნიშნული გამოწვეული იქნება ისეთი გარემოებების გამო, როგორიცაა: მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, სტიქიური უბედურებანი, ომი და საომარი მოქმედებანი, ხელისუფლების მიერ მიღებული ამკრძალავი ნორმები და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

6.2 მხარე, რომლისთვისაც 6.1. მუხლში აღნიშნული მიზეზების გამო შეუძლებელი შეიქმნა დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია მისი დადგომის და დამთავრების მომენტიდან არაუგვიანეს 5 დღისა წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ მეორე მხარეს.

6.3 მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს–მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე.

7 ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

7.1 თუ წინასწარი გაუთვალიწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია

7.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაცისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, „შეთანხმების“ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8 დავის განხილვის წესი

8.1 მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა და უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

8.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9 მხარეთა პასუხისმგებლობა ვალდებულების შეუსრულებლობისას

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი პირობებისა და ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში დაკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო (შემდგომში „პირგასამტეხლო“) ხელშეკრულების შეუსრულებელი ნაწილის ღირებულების 0.5%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

9.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დაკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.5%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

9.3 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადაჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს ან/და მიმწოდებელს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება;

9.4 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლო(ები)ს დაკისრება წარმოადგენს მხარეთა უფლებას და არა ვალდებულებას დამრღვევი მხარის მიმართ. პირგასამტეხლოს მიღების უფლება მეორე მხარისათვის მოპოვებულად ითვლება და შესაბამისი თანხა ექვემდებარება გადახდას, დამრღვევი მხარისათვის წინასწარი წერილობითი მოთხოვნის წარდგენის შემდგომ, ამასთან პირგასამტეხლოს ოდენობის დარიცხვა განხორციელდება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, მიუხედავად წერილობითი მოთხოვნის გაგზავნის თარიღისა.

9.5 საჯარიმო თანხების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის ხესი

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერიდან 2017 წლის 27 ივნისი მდე;

10.2. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით.

10.3. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება მხოლოდ მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით.

10.4. მხარეთა შორის შეტყობინების გაგზავნა მოხდება ამ ხელშეკრულებაში აღნიშნულ რეკვიზიტებზე. რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში მხარეებმა დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობონ ერთმანეთს.

11. დასკვნითი დებულებები

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ხელმოწერის შემდეგ ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლარი კი გამყიდველს.

11.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.3. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.

12. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

სსიპ-თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული
სახელმწიფო დრამატული თეატრი;
ს/კ 203840530;
მის: შოთა რუსთაველის გამზირი N17;
ტელ: 2 931961;
ბ/კოდი: TRESGE22;
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა;
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში;
მიმღების ანგარიში: 708167170;

დირექტორ-განმკარგულებელი:

/გიორგი თევზაძე/

„მიმწოდებელი“

შპს „ლეკერი“;
კოლ ჯ N23;
;
ბანკი ---------- ;
ბანკის კოდი: TEBAGE22;
ა/ა GE79KS0000000360203851;
ს/კოდი- 205050905;

მიღება-ჩაბარების აქტი ---------

ქ. თბილისი 26 ივნისი 2016 წელი

ერთი მხრივ, სსიპ-თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი (შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორ-განმკარგულებელი გიორგი თევზაძის სახით და მეორე მხრივ, შპს "------ ივანე ნაბეხავი ---------- (შემდგომში „მიმწოდებელი"; ,,შემსყიდველი" და ,,მიმწოდებელი" ორივე ერთად მოხსენებული როგორც „მხარეები"), ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3-ე პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო თეატრების მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის N99 განკარგულებისა შესაბამისად მხარეთა ორმხრივი ინტერესებისა და ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად ვაფორმებთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ:

1. მიმწოდებელმა გადასცა, ხოლო შემსყიდველმა მიიღო მხარეთა შორის 2016 წლის 26 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულიბის 1.1. მუხლით გათვალისწინებული საქონელი;

2. შემსყიდველი ვალდებულია წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 დღის ვადაში გადაუხადოს

3. მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება 263,20 (ორასსამოცდაცამეტი) ლარის ოდენობით;

4. მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტი სრულად გამოხატავს მათ ნებას და რომ მხარეებს ერთმანეთის მიმართ არანაირი პრეტენზია არ გააჩნიათ;

5. წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია ქართიულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო მეორე მიმწოდებელს;

6. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

სსიპ-თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი;
ს/კ 203840530

დირექტორ-განმკარგულებელი:

/გიორგი თევზაძე/

„მიმწოდებელი"

Super Ltd 205056405